პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 116 (3093) 18 1966 წ. ივნისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## 680 სმ!

ლონდონი, 17 ივნისი. დღეს აქ დაიწყო ინგლისისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი. ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ლენინგრადელმა ტ. შჩელკანოვამ, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 680 სმ.

### ცნობები ტოლიდოდან

# ხალიჩაზეა 250 მოჭიდავე

ტ ო ლ ი დ ო, 17 ივნისი. გუშინ აქ დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც მონაწილეობს 33 ქვეყნის 250 ათლეტი. ადგილობრივი უნივერსიტეტის სპორტდარბაზი მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეთა ჩემპიონატს უკვე მეორედ მასპინძლობს. 1962 წელს გამართულ პირველ ტურნირთან შედარებით წლევანდელ შეჯიბრებაში საგრძნობლად იმატა მონაწილეთა რიცხვმა.

უხეიროდ აიღო სტარტი ჩვენი ქვეყნის ნაკრების ყველაზე მსუბუქმა წევრმა ალიბეგაშვილმა. პირველი ბრძოლა სანდერსთან (აშშ) მან ფრედ დაამთავრა, ხოლო II წრეში ქულებით დამარცხდა მანჩესტერის მსოფლიო პირველობის „ბრინჯაოს" მფლობელთან ოლვეტთან (უნგრეთი). საბჭოთა მოჭიდავეს 2 წრის შემდეგ 5 საჯარიმო ქულა აქვს და მისი მდგომარეობა კრიტიკულია.

ზედიზედ 2 გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ალიევმა, რომელიც აქ მისთვის უჩვეულო, მაღალ წონაში (მჩატეში) გამოდის. ალიევმა მოუგო ჯერ თურქ სევინჩს, შემდეგ კი იაპონელ ხიროსის და ახლა მას 2 საჯარიმო ქულა აქვს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საბჭოთა ათლეტმა მთავარი მეტოქეები ჩამოიტოვა, დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ: ფინალში მონაწილეობა მას განაღდებული აქვს.

თედეევმა (ქვემსუბუქი წონა) ფრედ დაასრულა შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელთან, ბულგარელ კოლევთან და წმინდად მოუგო ნანსეს (შვეიცარია). მსუბუქ წონაში ბერიაშვილმა ქულებით სძლია თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილეს, ძალიან ღონიერ სრეტერს (მონღოლეთი).

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის სალარაძის (ქვესაშუალო წონა) პირველი მეტოქე იყო ოქროს მედლის ერთ-ერთი ფავორიტი, იაპონელი ვატანაბე (იგი სახელგანთქმული ო. ვატანაბეს თანამოგვარეა მხოლოდ). დაძაბულ ბრძოლაში ვერც ერთმა ათლეტმა ვერ მიაღწია უპირატესობას და ბრძოლა ფრედ დამთავრდა.

საბჭოთა ნაკრების დებიუტანტი, საშუალო წონის ათლეტი ცხოვრებოვი სტარტზევე დამარცხდა. მას მოუგო ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად მომზადებულმა ამერიკელმა ლარმა. მეორე წრეში ცხოვრებოვმა ფრედ იჭიდავა სახელგანთქმულ თურქთან გიუნგიორთან.

5 წუთსა და 12 წამში დაამთავრა შეხვედრა მედვედმა (ქვემძიმე წონა): სამხრეთამერიკელმა ვილიემმა ვერ გაუძლო საბჭოთა მოჭიდავის გამუდმებულ შეტევებს.

პირველ დღეს ხალიჩაზე არ გამოსულან მძიმე წონის ათლეტები.

## საქართველოს რეკორდი ესტონეთში



ტალინი, 16 ივნისი (დეპეშით). საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდი ამხანაგური მატჩების გასამართავად იმყოფება ბალტიისპირეთში. 18-19 ივნისს იგი ტარტუში შეეჯიბრება ესტონეთის ათლეტებს, შემდეგ შაბათ-კვირას ვილნიუსში ლიტველი მძლეოსნების წინააღმდეგ გამოვა, ხოლო 2-3 ივლისს ბოლო ასპარეზობას რიგაში ლატვიელ სპორტსმენებთან ჩაატარებს.

ტარტუში ჩასვლამდე ზოგიერთმა ჩვენმა ათლეტმა ძალები სცადა აქ გამართულ შეჯიბრებაში. თბილისის დინამოელმა სპორტის ოსტატმა გ. გუდაშვილმა ბადრო ტყორცნა 56,65 მეტრზე და 67 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის წელს დაამყარა.

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს რეკორდსმენი გ. გუდაშვილი.
ფოტო ო. გულაშვილისა.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

დუბლიორთა შემადგენლობანი

### გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი I ჯგუფი

მდგომარეობა 18 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 10 | 7 | 2 | 1 | 26—11 | 16 |
| „არარატი" (ერევანი) | 11 | 5 | 5 | 1 | 21—12 | 15 |
| ასკ (როსტოვი) | 11 | 5 | 5 | 1 | 9—4 | 15 |
| „დინამო" (მინსკი) | 12 | 6 | 3 | 3 | 16—12 | 15 |
| ცსკა | 11 | 5 | 4 | 2 | 11—8 | 14 |
| „დინამო" (თბილისი) | 11 | 5 | 3 | 3 | 15—13 | 13 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 12 | 5 | 3 | 4 | 14—14 | 13 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 12 | 3 | 7 | 2 | 10—10 | 13 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 12 | 5 | 2 | 5 | 12—12 | 12 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 11 | 4 | 3 | 4 | 10—11 | 11 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 11 | 2 | 6 | 3 | 10—8 | 10 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 11 | 2 | 6 | 3 | 11—10 | 10 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 12 | 4 | 1 | 7 | 12—14 | 9 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 11 | 2 | 5 | 4 | 8—10 | 9 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 12 | 3 | 3 | 6 | 11—18 | 9 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 11 | 1 | 6 | 4 | 6—11 | 8 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 11 | 3 | 2 | 6 | 11—19 | 8 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 11 | 3 | 2 | 6 | 10—19 | 8 |
| ასკ (ოდესა) | 11 | 1 | 4 | 6 | 6—13 | 6 |

„ბ" კლასი IV ზონა

15 ივნისს გაიმართა „ბ" კლასის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩები. აი, მათი შედეგები: „შირაკი" (ლენინაკანი) — „თერგი" (გროზნო) 1:2, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „დაუგავა" (რიგა) 2:2, „როსტსელმაში" (როსტოვი)— „დინამო" (კიროვაბადი) 0:0, „სპარტაკი" (გომელი) — „დინამო" (ტალინი) 2:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ბალტიკა" (კალინინგრადი) 0:0, „რუბინი" (ყაზანი) — „დინამო" (სტავროპოლი) 1:0.

## ნუთუ მართლა საათი...

◆ ტოკიო, 17 ივნისი. 10 ქართველი და 14 იაპონელი მთამსვლელი დღეს ავიდა იაპონიის ყველაზე მაღალ და ლამაზ მწვერვალზე — ფუძიამაზე (3776 მ) და იქ საბჭოთა და იაპონური დროშები აღმართა. მწვერვალზე ასვლა-ჩამოსვლას მთამსვლელებმა 10 საათი მოანდომეს.

◆ ბიჟიცკო (პოლონეთი), 17 ივნისი. „მეგობრობის ველორბოლის" VII ეტაპის (ბელოსტოკი — გიჟიცკო, 161 კმ) მოგებით ესტონეთის გუნდმა ხელთ იგდო ლიდერობა. პირად ჩათვლაში კვლავ წინაა ი. გრაბაუსკასი (ლიტვა).

◆ ბ უ დ ა პ ე შ ტ ი, 17 ივნისი. თანამედროვე ხუთჭიდში უნგრეთის დედაქალაქის პირველობასთან ერთად (გაიმარჯვა ცნობილმა ათლეტმა ი. მონამ, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონი ა. ბალცო ჩამოიტოვა) აქ ჩატარდა ჭაბუკ ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირი. გაიმარჯვეს უნგრეთის I ნაკრებმა (14520 ქულა) და გრაბერმა (გდრ) — 5062 ქულა. სსრ კავშირის გუნდი III ადგილზეა (14042), ხოლო მის წევრთაგან საუკეთესო — მოსკოველი ვ. პარამონოვი — IV (4929).

◆ პარიზი, 17 ივნისი. სახელგანთქმულმა ფრანგმა სპორტსმენმა კრისტინ კარონმა 0,9 წამით გააუმჯობესა თავისივე ევროპული რეკორდი ზურგზე ცურვაში: 200 მეტრზე მან აჩვენა 2.27,9, რაც მხოლოდ 0,5 წამით ჩამოუვარდება კეტ ფერგიუსონის (აშშ) მსოფლიო რეკორდს.

◆ ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი, 17 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ა. ბეზდელოვმა (მოსკოვის ოლქი) დამაჯერებლად მოიგო 5000 მეტრზე რბენა — 13.54,6. უახლოეს მეტოქეს მან 15 წამით გაუსწრო. ჭოკით ხტომაში შვედელმა ტ. მერტანენმა და ესტონელმა ა. ლუიგელამ ერთნაირი სიმაღლე — 460 სმ — დაძლიეს, მაგრამ ცდების მიხედვით გაიმარჯვა მასპინძელმა. შვეციის ახალი რეკორდი დაამყარა ბ. ფორსანდერმა, რომელმაც 110 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 14 წამი.

◆ ბლუმფონტეინი (ინდიანის შტატი, აშშ), 17 ივნისი. ზანგმა სპრინტერმა ტ. სმითმა (აშშ) 220 იარდი მოსახვევიან ბილიკზე საუცხოო დროში — 20,2 წამში გაირბინა. ეს ოფიციალური მსოფლიო რეკორდის გამეორებაა, რომელიც 0,2 წამით სწორედ სმითმა გააუმჯობესა ამ ერთი კვირის წინათ. მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მეტსონმა ბირთვი კრა 19,98 მეტრზე.

# ლანჩხუთის „გურია" — ლიდერი

საქართველოს პირველობა

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 13 | 6 | 5 | 2 | 23—9 | 17 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 13 | 7 | 3 | 3 | 17—12 | 17 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 12 | 6 | 4 | 2 | 21—12 | 16 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 13 | 6 | 4 | 3 | 20—15 | 16 |
| ა ს კ (თბილისი) | 13 | 5 | 5 | 3 | 21—13 | 15 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 13 | 5 | 5 | 3 | 16—16 | 15 |
| „ნარინჯი" (ბათუმი) | 13 | 3 | 8 | 2 | 13—11 | 14 |
| ფიზკ ინსტ (თბილისი) | 12 | 4 | 4 | 4 | 20—16 | 12 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 12 | 3 | 6 | 3 | 7—11 | 12 |
| „მეშახტე" (ტყვარჩელი) | 13 | 3 | 3 | 7 | 11—17 | 9 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 13 | 2 | 4 | 7 | 15—22 | 8 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 12 | 0 | 1 | 11 | 8—36 | 1 |

* * *

ლანჩხუთი, 17 ივნისი (ტელეფონით). გუშინ აქ გაიმართა საქართველოს „კოლმეურნის" საფეხბურთო თასის გათამაშების კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „გურია" და ბოლნისის „კოლმეურნე". სტუმრებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მასპინძლებს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 0:21.

# 22 ინგლისელი

გუშინ საღამოს ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ დაასახელა 22 ფეხბურთელი, რომლებიც 2 დღის შემდეგ გაემგზავრებიან ევროპის ქვეყნებში 4 საერთაშორისო მატჩის გასამართავად. ეს იქნება ინგლისელთათვის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბოლო რეპეტიცია. 26 ივნისს ჰელსინკში ინგლისელები შეხვდებიან ფინეთის ნაკრებს, 29 ივნისს ოსლოში — ნორვეგიის ნაკრებს, 3 ივლისს კოპენჰაგენში — დანიის ნაკრებს, ხოლო 5 ივლისს ვარშავაში — პოლონეთის ნაკრებს.

აი, ეს 22 ფეხბურთელი: მ ე კ ა რ ე ე ბ ი — სპრინჯეტი, ბენქსი, ბონეტი; მ ც ვ ე ლ ე ბ ი — არმფილდი, კოენი, ვილსონი, ბერნი, ნ ა ხ ე ვ ა რ მ ც ვ ე ლ ე ბ ი — ფლაუერსი, სტაილსი, ჯ. ჩარლტონი, მური, ჰანტერი, პიტერსი; თ ა ვ დ ა მ ს ხ მ ე ლ ე ბ ი — გრივსი, რ. ჩარლტონი, ჰანტი, კალაჰანი, ბოლი, ისტჰემი, კონელი, ჰერსტი, პეინი.

აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელებიდან 10 მონაწილეობდა ჩილის ჩემპიონატში.

# დახმარების ხელი გაუწოდეს

საქმეს ემსახურება

ტაშკენტი, 16 ივნისი. უზბეკეთის დედაქალაქის სპორტულ ცხოვრებაში პირველად დაირღვა მრავალწლოვანი ტრადიცია: რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური ეტაპი, რომელიც 22 ხახეობაში ტარდება, ამჯერად გაიმართება უზბეკეთის 16 ქალაქში. მიზეზი ტრადიციის დარღვევისა — მიწისძვრაა.

მაგრამ ტაშკენტელების სპორტული სულისკვეთება მიწისქვეშა სტიქიაზე ძლიერი აღმოჩნდა. უზბეკეთის სპორტსმენებს განზრახული აქვთ დაასრულონ დაწყებული ასპარეზობა. ისინი გამალებით ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის და თან მიწისძვრისგან დაზარალებული ქალაქის აღდგენა-მშენებლობაშიც აქტიურად მონაწილეობენ.

— მიწისძვრამ არ დაინდო ტაშკენტის სპორტული ბაზები, — თქვა უზბეკეთის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ვ. მიტროფანოვმა. — მიწისქვეშა ბიძგების შედეგად დაინგრა ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობა, „დინამოსა" და „შრომითი რეზერვების" სპორტული დარბაზები, „ლოკომოტივის" სპორტთამაშების მოედანი. დაზიანდა „სპარტაკის" სტადიონი, წყალჯომარდობის ხასახლე, არმიელთა და უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის სპორტდარბაზები, საჰაღრაკო-საშაშო კლუბი და სხვა ბაზები. ფიზიკური აღზრდის ბევრი სპეციალისტი ღია ცის ქვეშ დარჩა.

ქალაქის სპორტულ ორგანიზაციებს მთელი ქვეყანა ეხმარება. უზბეკეთის მთავრობამ მნიშვნელოვანი თანხა გამოყო ტაშკენტის სპორტულ ნაგებობათა აღსადგენად. უზბეკ მეგობრებს დახმარების ხელი გაუწოდა დონეცკმა, ნურეკმა და ბევრმა სხვა ქალაქმა.

სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ საგანგებო დადგენილება მიიღო: გადაწყვიტა ტაშკენტში საკუთარი სახსრებით ააგოს ხუთსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, საცხოვრებელი სახლი, შეასრულოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები. ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია ტაშკენტში ჩაატარებს საერთაშორისო მატჩს და მთელ შემოსავალს ამ ქალაქის ფონდს გადასცემს.

უზბეკეთის დედაქალაქი ახალმშენებლობათა ხარაჩოებშია ჩაფლული. შენდება ოლიმპიური ქალაქი, აიგება სტადიონი ტაშკენტის მომავალ ქალაქ-თანამგზავრში — სერგელში. საშემოდგომოდ მზად იქნება სპორტული მანეჟი. სწორედ აქ ჩატარდება საკავშირო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში.

უზბეკეთის დედაქალაქში ჩამოდიან მშენებლები ყველა მოძმე რესპუბლიკიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან. მათთვის იქმნება სპორტული კლუბი „ტაშკენტის მშენებელი".

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# სასტენდო სროლის პრობლემები

ამ საშიოდე წლის წინ საქართველოს მესტენდურეებს სამართლიანად უსაყვედურებდნენ ხანგრძლივი შრომით შექმნილი ტრადიციების დათმობასა და სსრ კავშირში ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივის სახელის დაკარგვას. მართლაც, იყო დრო, რომ საქართველოს სასტენდო სროლის ოსტატებს მთელს ჩვენს ქვეყანაში ბადალი არ ჰყავდათ, რამდენიმე სპორტსმენი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში შედიოდა და უცხოეთის სარბიელზეც ცდიდა ძალას. სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები თითქმის ყოველ წელს გვყავდა, მაგრამ მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, დიდება წარსულს ჩაბარდა და სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა ჩვენმა სპორტსმენებმა სამარცხვინოდ დაამთავრეს: თუ ადგილიდან მსროლელები IV ადგილს მაინც შესწვდნენ, მრგვალ სტენდზე მოასპარეზენი XII ადგილზე გავიდნენ, რის გამოც გუნდმა კომპლექსურ ჩათვლაში VIII ადგილი დაიკავა. ეს იყო საქართველოს ნაკრების ნამდვილი ჩაფლავება.

გუნდის მარცხი შემთხვევითი როდი გახლდათ. წარმატებას უამრავი მიზეზი უშლიდა ხელს. ჩვენი მესტენდურეების ჩავარდნამ ჩვენივე მეტოქენი პირდაპირ გააოცა. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ნ. პოკროვსკი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. დურნევი და ი. ნიკანდროვი ასპარეზობის შემდეგ აშკარა სინანულს გამოთქვამდნენ საქართველოს გუნდის წარუმატებლობის გამო.

ჩვენი მესტენდურეების ამ მარცხს ზოგიერთები გუნდიდან „ძველი გვარდიის" წასვლით ხსნიდნენ. ეს აზრი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან გამოცდილი სპორტსმენების ადგილი კიდევ უფრო ნიჭიერმა ახალგაზრდობამ დაიკავა. ნაკრებს შეემატნენ კ. დარასელია, ტ. ქლუნტი, ლ. სიმონიანი, რ. აჟიბა და სხვანი, რომლებმაც იტვირთეს ძნელი ამოცანა — ღირსეულად ეტარებინათ ესტაფეტა. ისინი ენერგიულად ვარჯიშობდნენ, იწაფებოდნენ, სპარტაკიადის წინა წელს გამართულ ტურნირებში კარგადაც გამოვიდნენ, მაგრამ მარტო მათი მონდომება არ კმაროდა: სპორტსმენებს არ ჰქონდათ ნორმალური ვარჯიშის სათანადო პირობები.

სსრ კავშირში ყველგან საგრძნობლად გაუმჯობესდა სასროლეთები, თოფების, მასრების, საწვავის, საფანტისა და სხვა ინვენტარის ხარისხი, ჩვენებს კი ყველაფერი აკლდათ. არ გვქონდა სრულყოფილი ტექნიკური ბაზა, რაც წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. აღმოსავლეთ საქართველოში (გარდა თბილისისა) სტენდს ვერსად ნახავთ. გურჯაანში, თელავში, გორში და ლაგოდეხში საშველი არ დაადგა სასროლეთების აშენებას, საზოგადოებრივ საწყისებზე აგებული მცხეთის სტენდი კი უპატრონოდ გაპარტახდა. ამიტომ ჩვენს ნაკრებს შევსებას აძლევენ მხოლოდ ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, მახარაძისა და წალენჯიხის სტენდებზე აღზრდილნი. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ რესპუბლიკაში არსებული თითოოროლა სასროლეთიც კი დღემდე არ არის სრულყოფილი და თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს.

ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის სამზადისში მთელი სიმძიმე თბილისის „მონკავშირის" სტენდს დააწვა. მარტო „მონკავშირის" პრეზიდიუმმა ამ დატვირთვას ვერ გაუძლო, „ბურევესტნიკის", „დინამოს", „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ საბჭოებს კი თითი თითზე არ დაუკარებიათ მესტენდურეთა დასახმარებლად. უკმარი იყო „გაუთიადის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის" ხელმძღვანელთა ზრუნვაც.

წინა სპარტაკიადისათვის ჩვენი ნაკრების ნაყოფიერ ვარჯიშს სხვა გარემოებაც აფერხებდა. სასტენდო სროლის მესვეურებისთვის ცნობილი გახდა, რომ ჩვენი ზარაფხანა გადასახალისებელი იყო, პირამიდებზე ისევე ძველი, მწყობრიდან სანახევროდ გამოსული თოფები ეწყო. მაშინ, როცა ჩვენი მესტენდურეების მეტოქენი უახლესი ტიპის იარაღით იყვნენ აღჭურვილი. ორგანიზაციები და სპორტსმენები ცუდად მარაგდებოდნენ ხარისხოვანი ტყვია-წამლით, რის გამო ადგილიდან მსროლელები № 7 საფანტის ნაცვლად № 6-ს (და ზოგჯერ № 5-ს) იყენებდნენ. სპარტაკიადისათვის სამზადისის დროს შემოსაზიდი 56 ათასი ხარისხოვანი ვაზნა ჩვენმა სპორტსმენებმა მიიღეს... სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ.

1963 წლის საკავშირო სპარტაკიადაში მესტენდურეთა მარცხის მიზეზებზე იმსჯელა საქართველოს სპორტკავშირმა და სათანადო ღონისძიებაც დასახა. მოსალოდნელი იყო, რომ სპორტსაზოგადოებათა საბჭოები და „მონკავშირის" ორგანიზაციები მუშაობას გარდაქმნიდნენ, მაგრამ არც იმ წელიწადს და არც მომდევნო წელს საამისო პრაქტიკული ნაბიჯი არავის გადაუდგამს. აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისში, მახარაძეში სპორტსმენები ინტენსიურად აღარ ვარჯიშობდნენ, არ ჰყოფნიდათ იარაღი, ტყვია-წამალი, სამიზნეები. აფხაზეთის მსროლელები რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის თბილისში ისე ჩამოვიდნენ, რომ სულ რამდენიმე ვარჯიში ჰქონდათ ჩატარებული. ცხადია, მათ ვეღარ შეინარჩუნეს წინა წელს მოპოვებული თასი. ამავე ტაფაში იწვოდნენ სხვა გუნდებიც. 1964 წელს ჩვენი მესტენდურეები ისევ ცუდად გამოვიდნენ საკავშირო სარბიელზე. აუცილებელი შეიქნა გადამჭრელი ღონისძიებები.

რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების საგანგებო დადგენილებით „მონკავშირის" პრეზიდიუმს დაევალა სერიოზული ყურადღება მიექცია ჩვენში სასტენდო სროლის განვითარებისათვის, ხელი შეეწყო 1964-65 წლებში საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში (ბათუმი, ქუთაისი, ცხინვალი, ფოთი, გორი, ჭიათურა, მახარაძე, თელავი, გურჯაანი, ზუგდიდი, ზესტაფონი, ხაშური, მაიაკოვსკი) სპორტსმენთა აღზრდისთვის, უზრუნველეყო ისინი საწვრთნელი ბაზებით, იარაღითა და ტყვია-წამლით.

ამასვე მოითხოვდნენ არმიელთა სპორტკლუბის, სპორტსაზოგადოებების, ქალაქებისა და რაიონების სპორტკავშირებისგანაც. და, მართლაც, შარშან მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა: უფრო ინტენსიური გახდა ვარჯიში, მომზადდა 6 სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის პროფკავშირთა საზაფხულო სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრებმა საერთო III ადგილი დაიკავა, ხოლო სსრ კავშირის ჩემპიონატში — VI. ბოლო ასპარეზობაში ადგილიდან მსროლელთა კოლექტივმა III პრიზი დაისაკუთრა, ე. მელიქიშვილმა კი ვერცხლის მედალი მოიპოვა ქალთა პირად შეჯიბრებაში.

მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის მზადება სწორი გზით მიდიოდა. ახლა საჭირო იყო ნაკრების წევრებისათვის საწვრთნელი პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესება, ახალგაზრდა, ნიჭიერ მსროლელთა გამოვლენა, მაგრამ იტყვიან, „ჭირი არ წავა უჭიროდ, თუ ჭირის დედა მთელიაო". გამოირკვა, რომ „მონკავშირი" და სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოები მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებდნენ ზემდგომი ორგანოების დირექტივებს. ერთგვარი გამოცოცხლების მიუხედავად, „სპარტაკის", „განთიადისა" და „კოლმეურნის" ორგანიზაციები სისტემატურ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას არ აწარმოებდნენ (შარშან ისინი თითო შეჯიბრების გამართვით დაკმაყოფილდნენ), „დინამო" და „ბურევესტნიკი" კი სრულებით არაფერს აკეთებდნენ.

რაც მთავარია, მოძველდა „მონკავშირის" სტენდი თბილისში — ნაკრების ერთადერთი ბაზა. იგიც უხეიროა: მრგვალი სტენდის მოედნებზე არ არის ტაიმერები (დროის განმსაზღვრელი), ტექნიკა სრულად ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ცხადია, ასეთ ბაზაზე ვარჯიში ნაკლებ ნაყოფიერია.

ასეა თუ ისე, თბილისში უკეთესი ბაზა არ არის და ხალხთა სპარტაკიადისათვის ნაკრების მზადების ორწლიანი გეგმაც მასზე დაყრდნობით შედგა. გეგმის თანახმად, ნაკრების წევრებს (ადგილიდან და მრგვალ სტენდზე 8-8 მსროლელს) ინტენსიური ვარჯიში ა. წ. თებერვლიდან უნდა დაეწყოთ. მარტო წლევანდელი გეგმით გათვალისწინებული იყო 26 ღონისძიება — სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები და შეჯიბრებები.

დღემდე ჩვენს სპორტსმენებს 11 ღონისძიებაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა — შეჯიბრებებში სეზონის გახსნის პრიზზე (მარტი), თბილისის უძლიერესთა ტურნირში (1-3 აპრილი), „საქართველოს თასის" გათამაშებაში (21-24 აპრილი), „სსრ კავშირის თასზე" ასპარეზობაში (7-11 მაისი), თბილისის პირველობაში (20-22 მაისი), მაგრამ..

გეგმა ჩაიფუშა, ჩაიფუშა ყველა'ათვის მოულოდნელად. „მონკავშირის" თბილისის სტენდი არსებობის მე-19 წელს ითვლის. აქ ბევრი რესპუბლიკური და საკავშირო ჩემპიონატი, ბევრი საქალაქთაშორისო მატჩი გამართულა. თვით „მონკავშირი" ადრე ყოველწლიურად აწყობდა მონადირეთა შეჯიბრებას I და II ჯგუფების გუნდებისთვის ცეცხლის ხაზზე გამოდიოდნენ საქართველოს თითქმის ყველა რაიონის სპორტსმენები, რაც საუკეთესო საშუალება იყო კადრების შერჩევისათვის. ერთი სიტყვით, ბევრი სამიზნე დამსხვრეულა..

სტენდი რომ აშენდა, მის ახლო-მახლო არავინ ცხოვრობდა. გადაღმა, ხევში, შესანიშნავი საცხოვრებელი და საბაღე ადგილებია. იქ დასახლების მსურველი ბევრი აღმოჩნდა. იერიში იერიშზე მიჰქონდათ, რას არ ჰპირდებოდნენ სტენდის მესვეურებს, მაგრამ ამით რომ ვერას გახდნენ, ამ ათიოდე წლის წინათ ზოგიერთებმა... თვითნებურად წამოჭიმეს სახლები.. ჯერ — „რამდენიც გნებავთ ისროლეთ, არაფრის გვეშინიაო". მერე, როცა ფესვები გაიდგეს, აყაყანდნენ: „ნუ ისვრით, ბავშვებს დაგვიხოცავთო". მილიციის განყოფილებაში იჩივლეს, იქ მხარის დამჭერნი იპოვნეს და...

ასე ჩაიშალა წლეულს ნაკრების წვრთნა. მესტენდურეებს არც ერთი ვარჯიში არ ჩაუტარებიათ, არც ერთი შეჯიბრება არ გაუმართავთ, ისე წავიდნენ მოსკოვს „სსრ კავშირის" თასის გათამაშებაში მონაწილეობისთვის და... სასტიკადაც დამარცხდნენ — ადგილიდან მსროლელებმა VII, მრგვალ სტენდზე მსროლელებმა კი IV ადგილი დაიკავეს.

მათ, ვისაც ამ საქმისთვის პასუხი მოეთხოვებოდა, ზემდგომი ორგანოების არც სხვა გადაწყვეტილებების შესრულებისთვის შეუწუხებიათ თავი. სტენდები კვლავ ასაშენებელია გორში, ცხინვალში, თელავში, გურჯაანში, ხაშურში; არავის უზრუნია დასავლეთ საქართველოს ქალაქებში არსებული სასროლეთების რეკონსტრუქციისა და უახლესი ტექნიკით აღჭურვისთვის (გამონაკლისია სოხუმი, სადაც სტენდი კეთილმოწყობილია გ. ნოდიას დაუღალავი მეცადინეობით).

ხანგრძლივი დავის შემდეგ, ორიოდე კვირის წინ თბილისის სტენდს, როგორც იქნა, მოხსნეს ბოქლომი. ნაკრებს ვარჯიშის უფლება დართეს, მაგრამ ტექნიკა კვლავ ძველი დარჩა. სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა კი შორს აღარ არის. დიდი ასპარეზობისთვის სამზადისის პასუხისმგებლობა ძირითადად „მონკავშირის" პრეზიდიუმს ეკისრება. მასზეა დამოკიდებული მესტენდურეთა კოლექტივის მზადყოფნაც.

ჩვენი აზრით, სასწრაფოდ, III კვარტალშივე უნდა დამთავრდეს სტენდზე ახალი თანამედროვე მანქანების გამართვა. ნაკრები დროულად უნდა აღიჭურვოს უახლესი სასროლი იარაღით, სამიზნეებითა და ტყვია-წამლით. აუცილებელია რეგულარულად მოეწყოს შეკრება-შეჯიბრებები, რაც უზრუნველყოფს გუნდის წევრთა სწორად შერჩევას. ყველა სპორტსაზოგადოებამ თავის ზოგიერთ კოლექტივში მაინც უნდა მოაწყოს მარტივი ტიპის სასროლეთი. უნდა გაიმართოს რესპუბლიკური შეჯიბრებები სოფლის სპორტსმენთა და ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის. აუცილებელია ამ სახეობაში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმა, თბილისის ახალგაზრდობის სპორტსკოლაში სასტენდო სროლის შემსწავლელი რამდენიმე ჯგუფის გახსნა.

ასეთია სასტენდო სროლის პრობლემები საქართველოში და რაც უფრო მალე გადავჭრით მათ, მით უფრო ადრე აღვიდგენთ დაკარგულ ტრადიციებს.

**ზ. მაჩხანელი,**
საერთაშორისო სპორტის ოსტატი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი.
**ო. გელაშვილი.**

---

## [illegible]

● **ლონდონი**, 16 ივნისი. თბილისე... წარმატებით აიღო სტარტი ინგლისის ... რომელიც „სამეფო კლუბის" ბალახი... მე წრეში მან დაამარცხა ბრაზილიის ... რინო — 5:7, 6:0, 7:5. მაგრამ გუშინ ... მოყვარულთ ჩოგბურთის „მეფეს" — ... იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარ... შნენ სხვა საბჭოთა ჩოგბურთელებიც: ... რიკელ რ. კაზალსთან — 5:7, 1:6, 3, ...

---

## ცნობები ბათუმიდან

### ზედიზედ მეხუთედ

ზღვისპირა პარკის ჩოგბურთის კორტებზე გაიმართა „განთიადის" საოლქო საბჭოს პირველობა ხელბურთში ვაჟთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა 12 გუნდი.

ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ხისდამმუშავებელი კომბინატისა და ცენტრალური ნავთობგადასატვირთავი ბაზის ხელბურთელები. თამაში თავიდანვე მენავთობეთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 19:14. აღსანიშნავია, რომ ისინი ზედიზედ მეხუთედ გახდნენ ამ საზოგადოების ჩემპიონები.

### სპარტაკელები — პირველნი

დიდი ინტერესი გამოიწვია ბათუმის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საუწყებათაშორისო პირველობამ. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „სპარტაკის", „განთიადის", „დინამოს", „ვოდნიკის", „ლოკომოტივისა" და ბავშვთა სპორტული სკოლის კოლექტივები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკისა" და „ვოდნიკის" წარმომადგენლები. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა — 62:53.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

---

## [illegible]

### ● მესტია

დამთავრდა V რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, ჭადრაკსა და მძლეოსნობაში. საერთო I ადგილი დაიკავეს ჰუბერის სპორტსმენებმა. II ადგილზე არიან მესტიელები, ხოლო III — ხაიშელები.

**ზ. მეძღვიანი.**

---

# 31:17

**სოხუმი**, 17 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ მოეწყო სსრ კავშირ—იუგოსლავიის საჭადრაკო მატჩის III და IV ტურებიდან გადადებული პარტიების დამთავრება.

რ. ხოლმოვმა დაამარცხა დ. მინიჩი, ე. ვასიუკოვმა — დ. ვლადიმიროვიჩი. ტ. ზატულოვსკაიამ გაუთამაშებლად ჩაიწერა ქულა ტ. შტადლერთან პარტიაში. კ. ივანოვიჩმა მოუგო ა. კუშნირს. ვ. ცვეტკოვიჩმა 2 პარტია დაამთავრა ყაიმით — თ. გიორგაძესა და ბ. გულკოსთან. ყაიმით დასრულდა აგრეთვე ი. სახაროვ — დ. ჩირიჩისა და გ. კუზმინ — მ. დესპოტოვიჩის შეხვედრები.

დღეს გაიმართა V ტური. აი, ტექნიკური შედეგები: ლუტიკოვი — ველიმიროვიჩი 1:0, მატულოვიჩი — კორჩნოი 1:0, გაფრინდაშვილი — შტადლერი 1:0, სახაროვი — პარმა 0,5:0,5, ხოლმოვი — მატანოვიჩი 0,5:0,5, კერესი — ბერტოკი 0,5:0,5, გიორგაძე — დესპოტოვიჩი 0,5:0,5, კუშნირი — ივანოვიჩი 0,5:0,5. 2 პარტია გადაიდო. 5 ტურის შემდეგ ანგარიშია 31:17 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

---

# სარბიელზე არიან

### მაშ ასე, გამოცდები დაიწყო...

გამოცდილი საშუალო სპეციალური სასწავლებლების II სპარტაკიადაა. ამ კომპლექსური ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებულ ზოგიერთ სახეობაში უკვე დამთავრდა გამოცდა. მივყვეთ რიგით...

### იქ, სადაც „სპორტის დედოფალი" პატივშია

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მძლეოსანთა კაპიტანი ვ. ტარანი სტადიონზე წიგნით მოვიდა. ტარანი ტექნიკუმს წლეულს ამთავრებს და მისთვის ყოველი წუთი ძვირფასია. კაპიტანმა შეჯიბრების პირველსავე დღეს მოიპოვა წარმატება: ბირთვი 13,06 მეტრზე კრა და პირველობაც გაინაღდა. მეორე დღეს მან ბადროს მტყორცნელთა ასპარეზობაში გაიმარჯვა — 46,80 მ. ეს უკვე პატარა მიღწევა როდია: აღნიშნული მაჩვენებელი I თანრიგის ნორმატივში „ეტევა". კაპიტანს არც თანაგუნდელები ჩამორჩნენ: ლ. სავჩენკომ გოგონებში ყველას აჯობა სიმაღლეზე (145 სმ) და სიგრძეზე (496 სმ) ხტომაში, ზ. სარქისიანმა — 100 (11,1) და 400 მეტრზე (51,6) რბენაში, ვ. ოგანესიანმა — სიგრძეზე (652 სმ), ხოლო კ. ჯიოევმა — სიმაღლეზე ხტომაში (180 სმ).

მწვავედ წარიმართა 800 მეტრზე ვაჟთა რბენა. ფინიშამდე მხოლოდ რამდენიმე მეტრი იყო დარჩენილი, რომ სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის სტუდენტმა ზ. ჯერგენიამ დაწინაურება შეძლო და გაიმარჯვა კიდეც — 2.11,2. 3 კმ-ზე რბენაში პირველი იყო მისი თანაგუნდელი გ. ბარამია — 10.29,2.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის წარმომადგენლებმა. საინტერესოა, რომ ამ კოლექტივის წევრებმა მძლეოსნობის ყოველ სახეობაში 2-2 ჩასათვლელი ქულა შესძინეს გუნდს, თუმცა დებულებით მხოლოდ თითო ჩათვლა იყო სავალდებულო. ჩანს, ამ ტექნიკუმში „სპორტის დედოფალს" სათანადო პატივისცემით ეპყრობიან.

### სუსტი ძალოსნები

ძალოსნობაში ბევრმა გამარჯვებულმა III თანრიგის შედეგით დაამთავრა შეჯიბრება (!). მჩატე წონაში პირველობა გ. ალასანიამ (ფოთის ჰიდროსამელიორაციო ტექნიკუმი) დაისაკუთრა — 220 კგ, მსუბუქ წონაში კი მისმა თანაგუნდელმა გ. ბაბილუამ — 265 კგ. ქვემსუბუქ წონაში ყველას აჯობა შ. ბუზიკაშვილმა (თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი) — 230 კგ, საშუალო წონაში — დ. გაბაძემ (ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმი) — 300 კგ. ქვემძიმე წონის ძალოსანი ა. თეთრაშვილი (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) III თანრიგის ნორმატივშიც კი ვერ „ჩაეტია" — მხოლოდ 235 კგ დააგროვა. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე სამჯერ ავიდნენ ქუთაისის სამთო ტექნიკუმის წარმომადგენლები: ნ. დოგუზოვი (ქვესაშუალო წონა, 295 კგ), ა. მიკოევი (მძიმე წონა, 280 კგ) და ზ. სამხარაძე (ზემძიმე წონა, 282,5 კგ). ამავე ტექნიკუმის კოლექტივი პირველი იყო გუნდურ ჩათვლაში.

### სოხუმელებმა ვერ „შეამჩნიეს"

ესტაფეტის პირველ ეტაპზე ბრძოლა თბილისის მანქანათმშენებლობისა და სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმების მცურავთა შორის გაჩაღდა. მათ თითქმის ერთდროულად დაამთავრეს დისტანცია. მეორე ეტაპზე მანქანათმშენებლებმა 4 მეტრი მოუგეს მეტოქეებს, მესამეზე კი სხვათ-

## ...გუთი

...გბურთელმა ა. მეტრეველმა
...ქალაქის ღია ჩემპიონატში,
...ებზე მიმდინარეობს. მესა-
...ესი ჩოგბურთელი ჟ. მანდა-
...ელი შეხვდა მსოფლიოს სა-
...რალიელ რ. ემერსონს და
...:6, 4:6. ტურნირს გამოეთი-
... რ. ისლანოვამ წააგო ამე-
...ამ — ავსტრალიელ დ. ტე-

გარტთან — 7:9, 2:6, ხოლო ს. ლიხაჩოვმა — ავსტრალიელ დ. ნიუკომბთან — 1:6, 6:8.

● ბელოსტოკი, 16 ივნისი. ლიტველი დინამოელი ი. გრაბაუსკასი 6 ეტაპის შემდეგ ლიდერობს ლიტვისა და პოლონეთის გზებზე მიმდინარე „მეგობრობის ველორბოლას". ვილნიუსში აღებული სტარტის შემდეგ უკვე ნახევარ გზაზე მეტია გავლილი. 6 ეტაპის ჯამში დაწინაურდნენ პოლონეთის ჰრბოლელთა კავშირის ველოსიპედისტები.

● სტოკჰოლმი, 16 ივნისი. მძლეოსანთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენთაგან მხოლოდ ერთმა — მოსკოველმა ი. ბაკარინოვმა შეძლო გამარჯვების მოპოვება. მის მიერ ნატყორცნი ურო 63,98 მეტრზე „გაფრინდა". სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შორის II ადგილი დაიკავა მოსკოველმა ს. მოსპანოვმა — 206 სმ (პირველი იყო შვედი ბ. იუნსონი — 209 სმ). ა. მეზდელოვმა (მოსკოვის ოლქი) V ადგილი დაიკავა 3000 მეტრზე რბენაში — 8.05,4.

● ვარშავა, 16 ივნისი. პოლონეთის დედაქალაქის მძლეოსანთა ჩემ-პიონატში კვლავ გამოჩნდა ირენა კირშენშტეინის „[illegible]". მსოფლიო რეკორდსმენმა წლევანდელი სეზონის [illegible] აჩვენა 100 მეტრზე რბენაში — 11,4 წამი. პოლონ[illegible] უბერებელმა ვეტერანმა იანოშ სიდლომ შუბი ტყორცნა 81,22 მეტრზე.

● კურტბანი (საფრანგეთი), 16 ივნისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში ევროპული რეკორდი დაამყარა სახელოვანმა ფრანგმა მძლეოსანმა მ. ჟაზიმ: 1500 მ მან გაირბინა 3 წუთსა და 36,3 წამში ი. მაის (გდრ) წინანდელი რეკორდი 0,1 წამით გააუმჯობესდა. მსოფლიოს 3 რეკორდის (1 და 2 მილზე და 2 კმ-ზე) ავტორს მ. ჟაზის მეოთხე რეკორდის დამყარებაც შეეძლო, რბენა რომ ცოტა უფრო სწრაფად დაეწყო (როგორც ცნობილია, 1500 მეტრზე მსოფლიოს რეკორდი — 3.35,6 — ავსტრალიელმა ჰ. ელიოტმა რომის ოლიმპიადაზე დაამყარა).

● ვარშავა, 16 ივნისი. ხვალ აქ იწყება მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი — შესანიშნავი პოლონელი მძლეოსნის კუსოჩინსკის ტრადიციული მემორიალი. მასში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ქვეყნების საუკეთესო მძლეოსნები, მათ შორის, მ. ჟაზიც.

# ბურთი და მოედანი — ბავშვებს!




## რესპუბლიკური შეჯიბრება უკეთ უნდა ეწყობოდეს

ისეთი უხვმოსავლიანი შეჯიბრება, მძლეოსანთა ასპარეზობა რომ იყო, კარგა ხანია არ გამართულა. ტურნირში გაუმჯობესდა საშუალო და უფროსი ასაკის ათლეტთა 7 რესპუბლიკური რეკორდი, ორმა სპრინტერმა აჩვენა ოსტატობის კანდიდატის, ხოლო 60-ზე მეტმა — I ან II თანრიგის შედეგები. თუ ოსტატობის კანდიდატის ნორმის შესრულებაში გოგონებმა ისახელეს თავი, 7 რეკორდიდან 6 ჭაბუკებზე მოდის. ზოგი მათგანის შესახებ უკვე ვწერდით, მაგრამ სურათი რომ მთლიანი და უფრო ნათელი იყოს, ნორჩ რეკორდსმენებს ახლა ერთად წარმოგიდგენთ: უფროს ასაკში — მორბენალი ი. ცანავა (მწვრთნელი ვ. ნედაშკოვსკი) — 1500 მ — 4.05,7 და 3000 მ — 9.11,6, ი. ჩერკაშინი (მწვრთნელი ა. სადოვოი) — უროს ტყორცნა — 50,91 მ; საშუალო ასაკის ჭაბუკებში: ვ. ხართიშვილი (მწვრთნელი ბ. ტახტაროვი) — ექვსჭიდი — 2897 ქულა, ი. წიკლაური (მწვრთნელი ვ. ვდოვინი) — შუბის ტყორცნა — 58,86 მ, გ. მაკიევი (მწვრთნელი ნ. კალანდაძე) — 5 კმ სპორტული სიარული — 25.50,8, პ. პრონინა (მწვრთნელი კ. გიორგაძე) — ოთხჭიდი — 2937 ქულა. აღსანიშნავია, რომ ოთხჭიდში ძველ რეკორდს (2787 ქულა) II და III პრიზიორებმაც გადააჭარბეს.

ერთი სიტყვით, ტურნირის პრიზიორთა ტექნიკური შედეგები დამაკმაყოფილებელია. თუ ზემოთქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ I და II ჯგუფებში 30 კოლექტივზე მეტი ასპარეზობდა, დავრწმუნდებით: „სპორტის დედოფალი" საქართველოში აღმავლობის გზაზეა და მის წინსვლას ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი.

ასპარეზობამ ბევრი ნიჭიერი ათლეტი გამოავლინა. დავასახელოთ, თუნდაც, პ. პრონინა, ა. მოშიაშვილი, ი. წიკლაური, ე. გაფრინდაშვილი, ვ. ოსიპოვი, ვ. ჯაფარიძე, ი. დოლბაშვილი, რ. კალაძე, ე. ფარსადანოვი, ლ. ილიუშინა... მათი სახით მოზრდილთა ნაკრები მალე სათანადო შევსებას მიიღებს.

განსაკუთრებით კარგად მომზადებული იყვნენ თბილისის I გუნდის, აფხაზეთის, აჭარის, ხაშურის, მახარაძის, ფოთის, ახალციხისა და საგარეჯოს სპორტსმენები. მაგრამ, სამწუხაროდ, შეჯიბრებას ბევრი ნაკლიც ჰქონდა და ეს არა მარტო ტურნირის ორგანიზატორების, შეჯიბრებაში მონაწილე ზოგიერთი კოლექტივის ხელმძღვანელთა ბრალიც გახლდათ.

წინა წერილში ვწერდით, რომ შეჯიბრების ჩამტარებელმა — განათლების სამინისტრომ ვერ შეძლო მოასპარეზეთა სამკერდე ნომრებითა და სიგელებით უზრუნველყოფა. ვვარაუდობდით, რომ ასპარეზობის თაოსნები, ამ, არც ისე ძნელ საქმეს მოაგვარებდნენ და უღიმღამოდ დაწყებულ ტურნირს ორგანიზებულად დაამთავრებდნენ. მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა.

რესპუბლიკური შეჯიბრება ადრე ნამდვილი ზეიმი იყო ხოლმე ბავშვებისთვის. ნორჩ ათლეტებს უხაროდათ მასში მონაწილეობა და მეტ პასუხისმგებლობასაც გრძნობდნენ. ახლა კი... ჩემპიონები და პრიზიორები ისე წავიდნენ, რომ სიგელებიც ვერ წაიღეს (ფასიან საჩუქრებზე რომ არაფერი ვთქვათ).

სექტორებზე და ბილიკებზე უწესრიგობა იყო. აქ ხშირად ტრიალებდნენ მსაჯები და მწვრთნელები, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო იმ დროს მიმდინარე სახეობასთან. განსაკუთრებით უნდა ვუსაყვედუროთ თბილისელ არბიტრებსა და მწვრთნელებს.

დაბალი იყო ასპარეზობის მსაჯობის ხარისხი. და ეს ალბათ იმიტომ, რომ იმ დღეებში თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ტარდებოდა საქართველოს ტექნიკუმების სპარტაკიადაში მოასპარეზე მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელიც უფრო იოლი და ხანმოკლე იყო და არბიტრების უმეტესობა სწორედ იქ მსაჯობდა, მოსწავლეთა სპარტაკიადას კი შედარებით გამოუცდელი მსაჯები ემსახურებოდნენ და ბევრსაც სცოდავდნენ. მაგალითად, მთავარმა მსაჯმა თ. მაჩაბელმა ბირთვის კვრაში შეჯიბრების შედეგები გააუქმა, ვინაიდან სექტორის მსაჯმა უხეში შეცდომები დაუშვა.

ასპარეზობის ბევრმა მონაწილემ შეჯიბრების ელემენტარული წესები არ იცოდა. ამ მხრივ დიდად ვერც რაიონებში მომუშავე მწვრთნელები მოიწონებენ თავს. სწორედ მათი (და ზოგი თბილისელი მწვრთნელის) დაბალი კვალიფიკაციის პირდაპირი შედეგია ნორჩ მძლეოსანთა ცუდი მომზადება. ნათქვამის დასადასტურებლად თუნდაც ის კმარა, რომ ექვსჭიდელთა ტურნირში ჭოკით ხტომისას ხუთმა ბავშვმა (ახმეტელი მ. ლებერიძე, სამტრედიელი მ. ბოხუა, რუსთაველი ს. სოკოლოვი, თბილისელები დ. გაჩეჩილაძე და ა. ერიომიანი) საწყისი სიმაღლე ვერ აიღო, 8 მოსწავლე კი მსაჯთა კოლეგიამ საერთოდ მოხსნა შეჯიბრებიდან. თბილისის II გუნდის წევრმა მ. ლეჟავამ შუბი „ტყორცნა" 6 მეტრზე. ეს მაგალითები გამონაკლისი არ არის.

ვფიქრობთ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია იმსჯელებენ მოსწავლე-მძლეოსანთა რესპუბლიკური ტურნირის შედეგებზე და სათანადო ღონისძიებასაც დასახავენ.

**ო. ივდოშვილი.**

### ტექნიკური შედეგები

#### საშუალო ასაკი

**გოგონები.** 400 მ რბენა — ს. ნიშნიანიძე (თბ. I)—1.05,5, ი. ფედოტოვა (თბ. II)—1.05,6, ლ. ფარცვანია (ფოთი)—1.05,6; 80 მ თარჯრბენა — თ. რეფერდი (თბ. I, პირადი)—12,5, ლ. ზვონიკოვა (თბ. I) — 12,6, ო. კოსტრიკინა (თბ. II)—12,7; შუბის ტყორცნა — დ. საბაური (თბ. I) — 33.45, ლ. მანაშაროვა (აფხაზ.) — 27,24, რ. რომაშენკო (სამტრ.) — 26,26; ესტაფეტა 4×100 მ — თბილისი I — 51,7, აჭარა — 52,6; ქუთაისი — 53,8; ოთხჭიდი — პ. პრონინა (აჭარა) — 2937 (რეკორდი), ი. პოპოვა (აფხაზ.) — 2883, ო. კოსტრიკინა (თბ. II)—2806.

**ბიჭები.** 1000 მ რბენა — ვ. ოსიპოვი (გორი) — 2.47,6, დ. კორინევიჩი (თბ. პირადი) — 2.48,0, ვ. დვალიშვილი (სამტრ.) — 2.48,5; 110 მ თარჯრბენა — ა. მოშიაშვილი (ქუთ.) — 15,6, ვ. მუსელიმიანი (აფხაზ.) — 15,9, ი. პაპიაშვილი (ქუთ. პირადი) — 16,0; შუბის ტყორცნა — ი. წიკლაური (დუშეთი) — 58,86 (რეკორდი), ნ. ბადენკო (აჭარა) — 52,12, ნ. ზვიადაური (გლდანის სკოლა-ინტერნატი) — 50,66; უროს ტყორცნა — ე. გაფრინდაშვილი — 48,85, ჯ. ფხაკაძე (ორივენი — თბ. I) — 48,39, ვ. კოტელნიკოვი (თბ. II) — 45,98; ესტაფეტა 4×100 მ — ქუთაისი — 45,9, თბილისი I — 46,4, თბილისი II — 47,4; ექვსჭიდი — ვ. ხართიშვილი (გლდანის სკოლა-ინტერნატი) — 2897 (რეკორდი), მ. პოპონდოპული (აჭარა) — 2726, რ. ანგელოვი (თბ. I) — 2543.

#### უფროსი ასაკი

**გოგონები.** 800 მ რბენა — ფ. ბატეევა (ცხინვალი) — 2.32,2, ვ. კარპენკო (თბ. I) — 2.47,0, ლ. ჯელაძე (ონი) — 3.01,1; 80 მ თარჯრბენა — ს. პონომარიოვა (აჭარა) — 12,5; შუბის ტყორცნა — ლ. ბაკალინა (აფხაზ. პირადი) — 36,44, ვ. მოვსესიანი (თბ. I) — 28,54, ქ. მაჭარაშვილი (დუშეთი) — 28,08; ხუთჭიდი — ს. პონომარიოვა (აჭარა) — 3737, ნ. მარადულინა — 3399, ლ. ბაკალინა (ორივენი — აფხაზ.) — 2656.

**ჭაბუკები.** რბენა: 800 მ — ვ. ბაირამიანი (აფხაზ.) — 2.06,4, გ. ემინოვი (თბ. I) — 2.07,1, ა. ვინიკოვი (აფხაზ.) — 2.11,5, 3000 მ — ი. ლაქტიონოვი — 9.59,4, ი. იაცკევიჩი (ორივენი — თბ. I) — 10.15,2, გ. პოლოსიანი (თბ. II) — 10.17,8; თარჯრბენა: 110 მ — ვ. როდიონოვი (თბ. I) — 16,4, ი. ხოხოსაშვილი (ახმეტა) — 16,5, ო. ბექაური (ახალციხე) — 17,2, 200 მ — ი. ხოხოსაშვილი — 27,0, ს. ახანოვი (თბ. I) — 27,6, ნ. გარსევანიშვილი (ახალციხე) — 27,8; სამხტომი — თ. ცინცაძე (თბ. I) — 14,07, ი. ხუზარაული (ახმეტა) — 13,64, ი. კოლიევი (ცხინვალი) — 13,52; შუბის ტყორცნა — ი. კოვინკო (აჭარა) — 56,64, შ. ხვთისიაშვილი (მცხეთა) — 52,55, ნ. ჩაჩხალია (აფხაზ.) — 46,87; უროს ტყორცნა — ი. ჩერკაშინი — 50,91 (რეკორდი), ა. ერშოვი (ორივენი — თბ. I) — 45,37, ჯ. ნარიმანიძე (თბ. II) — 42,56; ათჭიდი — გ. ჯინჭარაძე (თბ. II) — 4374, ზ. თავბერიძე (მახარაძე) — 4225, ვ. ზაბოლოტნი (აჭარა) — 3942.

#### საერთო გუნდური ჩათვლა

**I ჯგუფი:** 1. თბილისი-I, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა; **II ჯგუფი:** 1. მახარაძე, 2. ხაშური, 3. ფოთი.

• • •

**სურათებზე:** ზევით — სპარტაკიადის ჩემპიონი 100 და 200 მეტრზე რბენაში ე. კონდრატიევი (თბილისი) ფინიშთან; ქვევით — ბირთვის კვრაში გამარჯვებული მახარაძელი თ. ხმელიძე ასპარეზობისას.

ფოტო ავტორისა.





## ჭაბუკთა ფინალური ტურნირი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების გუნდებს შორის.

თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შეხვედრაში საერთო უპირატესობა დინამოელებს ჰქონდათ და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 2:0.

მეტად საინტერესო იყო თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და სოხუმის „დინამოს" მატჩი. თავიდან დაწინაურდნენ თბილისელები, მაგრამ სოხუმელებმა გაქვითეს ეს გოლი და ფრედ დაამთავრეს თამაში — 1:1.

ანგარიში არ გახსნილა გორის „დილისა" და თბილისის „ლოკომოტივის" შეხვედრაში — 0:0.

დღეს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგება ბოლოსწინა ტურის მატჩები. დილის 9 საათზე თამაშობენ „დინამო" (სოხუმი) — „ლოკომოტივი" (თბილისი), 17 საათზე — თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა — „ტორპედო" (ქუთაისი), 19 საათზე — „დინამო" (თბილისი) — „დილა" (გორი).

**ფეხბურთი**

# ტექნიკუმელები

ბა 30 მეტრამდე გაიზარდა. თბილისელებმა ეს უპირატესობა ფინიშამდე შეინარჩუნეს. ამ მწვავე ბრძოლაში სოხუმელებმა ვერ „შეამჩნიეს" თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპორტსმენები, რომლებმაც გაუსწრეს მათ. და აი, სოხუმელები III ადგილით დაკმაყოფილდნენ.

შეჯიბრებაში გამარჯვებულმა — მანქანათმშენებელთა კვარტეტმა (დ. კოშაძე, ა. კუზნეცოვი, თ. მაქსიმოვი და ვ. გამბარინი) ესტაფეტა 5 წუთსა და 13,1 წამში დაამთავრა. ა. კუზნეცოვმა და ო. მაქსიმოვმა სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს· პირველმა — 100 მეტრზე ბრასით ცურვაში — 1.24,6, მეორემ — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 1.12,5. მათმა თანაგუნდელმა ქალიშვილმა ი. სალდიანმა ორ დისტანციაზე გაიმარჯვა: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით და ბრასით (1.36,7 და 1.43,3). 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში ყველას აჯობა გ. ნარხოვმა (თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი) — 1.21,7. გამარჯვებულთაგან მხოლოდ მან და მაქსიმოვმა შეასრულეს II თანრიგის ნორმატივი. დანარჩენები III თანრიგს არ ასცილებიან.

გუნდურ ჩათვლაში ყველა უკან მოიტოვა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მცურავთა გუნდმა.

### პირველი ცდა და... ჩემპიონი

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სტუდენტი თ. კაციტაძე შემთხვევით მოხვდა მოჭიდავეთა შეჯიბრების მონაწილეებში — ამხანაგი ავად გახდა და მას სთხოვეს ხალიჩაზე გამოსვლა. დამსწრეთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კაციტაძემ ყველას აჯობა და ჩემპიონობა დაისაკუთრა მძიმე წონაში. ქართულ ჭიდაობაში კაციტაძის გარდა პირველობა მოიპოვეს (წონითი კატეგორიების მიხედვით): ა. ხვედელიძემ, რ. პაპუნაშვილმა, შ. მაკოევმა (ყველანი — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი), დ. დონღუზაშვილმა (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), თ. ძებისაშვილმა, დ. ესებუამ (ორივენი — თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი) და ი. ბითიევმა (ქუთაისის სამთო ტექნიკუმი).

გუნდური გამარჯვება სპორტის ამ სახეობაშიც თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდმა მოიპოვა.

### ვერაგი იარაღი

ფანკოსარჯიშე გოგონები ყველაზე ვერაგ იარაღად ღვირს თვლიან (და განა მარტო ისინი!). ამ იარაღზე შეჯიბრებისას მხოლოდ მ. ეკიზაშვილმა (თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი) შეძლო 9 ქულის მოხვეჭა. საბოლოოდ მან 70,3 ქულით გაიმარჯვა პირველთანრიგოსანთა შორის. მეორეთანრიგოსნებში ყველას აჯობა ც. ხუციშვილმა (თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი).

მესამეთანრიგოსან ჭაბუკებში გაიმარჯვა ზ. უჩუმბეგაშვილმა (თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი), ხოლო მეორეთანრიგოსნებში — მისმა თანაგუნდელმა ე. გრიგორიანმა. საოცარია, მაგრამ I თანრიგის პროგრამას მხოლოდ ერთი ტანმოვარჯიშე „ებრძოდა". ეს გახლდათ თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის წარმომადგენელი ზ. ბედიაშვილი. მსაჯებმა მისი გამოსვლა 102,95 ქულით შეაფასეს.

ოსტატის პროგრამით მოვარჯიშეებში გაიმარჯვეს ლ. ლაქტიონოვამ და ე. კაუზჩევმა (ორივენი — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი).

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ტანმოვარჯიშეებმა.

**ვ. ბუკია.**

# იოლი გამარჯვება



ბულგარეთის ხელბურთელები თბილისს პირველად 1964 წლის შემოდგომაზე იწვიენ. მაშინ სოფიის არმიელთა გუნდს ვმასპინძლობდით და, კაცმა რომ თქვას, ვერაფერი მასპინძლობა გავუწიეთ,— შეხვედრა მოვუგეთ საკმაოდ დიდი ანგარიშით — 33:12. თბილისში ამჯერად ბულგარეთის ნაკრები ჩამოვიდა.

უნდა ითქვას, რომ ბულგარელები არც ახლა ბრწყინავდნენ ოსტატობით. პირიქით, თუ ადრე კორექტული თამაში ახასიათებდათ, ახლა, სამწუხაროდ, ეს საუკეთესო თვისებაც დაუკარგავთ. ჩვენი სტუმრები განსაკუთრებით უხეშად თამაშობდნენ პირველ მატჩში (თბილისის „ბურევესტნიკთან“) და, როგორც ცნობილია, დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ — 14:25 (9:11).

მეორე დღეს, გუშინწინ, თბილისის „ბურევესტნიკი“ ბულგარელებს შეხვდა როგორც საქართველოს ნაკრები. ამჯერად ჩვენმა ხელბურთელებმა მხოლოდ 3 ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს — 19:16 (9:9), მაგრამ ეს შედეგი სრულიადაც არ გამოდგება მოასპარეზე გუნდების ძალთა თანაფარდობის დასადგენად. საქმე ის არის, რომ ჩვენი ნაკრები უმეტესად ახალგაზრდული შემადგენლობით იბრძოდა. მაშინ კი, როცა ყველა ჩვენი მოწინავე ხელბურთელი თამაშობდა, ანგარიშში სხვაობაც დიდი იყო, მაგალითად, 17:10, 19:12...

პირველ მატჩში თბილისელთაგან გოლები გაიტანეს: ცერცვაძემ — 9, გაზდელიანმა — 6, ფხაკაძემ — 3, ანთაძემ — 2, ექსეულიძემ, ბუნაძემ, ზაქარიაძემ, სხიერელმა და კიკაბიძემ — თითო. მეორე შეხვედრაში თავი ისახელა გაზდელიანმა, რომელმაც 7 ბურთი მოათავსა მეტოქის კარში. ექსეულიძემ გაიტანა 4 გოლი, ცერცვაძემ — 3, ფხაკაძემ — 2, ბაგრატიონმა, სხიერელმა და ხუნწიაშვილმა — თითო.

გ. [illegible]

* * *

სურათზე: შეტევაზეა თ. ანთაძე. ეს გარღვევა მან გოლით დაამთავრა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ემზადებიან...

რიო-დე-ჟანეირო, 16 ივნისი. „მარაკანას“ სტადიონზე ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებმა მეორე მატჩი გამართეს ჩეხოსლოვაკიელებთან და ფრედ ითამაშეს — 2:2 (პირველ მატჩში, როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1). პირველი გოლი გაიტანა პელემ. მე-19 წუთზე პოპლუჰარმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 10 წუთის შემდეგ ჩეხოსლოვაკიელმა ციკორამ მეორე ბურთი გაიტანა. შესვენებამდე 1 წუთით ადრე ზიტომ კვლავ აღადგინა წონასწორობა. მეორე ტაიმში მსოფლიო ჩემპიონები ბევრს უტევდნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს ვიცე-ჩემპიონების შესანიშნავ დაცვასთან. გუნდები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ: ბრაზილია — მანგა, ფიდელისი, ბრიტო, ფონტანა, პაულო ენრიკე, ზიტო, ლიმა, ჟაირზინიო, ალსინდო, პელე, ამარილდო; ჩეხოსლოვაკია — ვენცელი, ლალა, ნოვაკი, პოპლუჰარი, სმოლიკი, ხორვატი, კუნა, ვესელი, ციკორა, ონდრაშეკი, მასნი.



შესვენების შემდეგ ფონტანას, ალსინდოსა და ამარილდოს ნაცვლად ითამაშეს ალტაირმა, სილვამ და ედუმ. 3 მოთამაშე შეცვალეს ჩეხოსლოვაკიელებმაც.

სანტ-იაგო, 16 ივნისი. აქ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 6 ქულით I ადგილი დაიკავეს მექსიკის ნაკრების ფეხბურთელებმა. 5-5 ქულა მოაგროვეს ჩილეს ნაკრებმა და ინგლისის „შეფილდ იუნაიტედმა“. 3 ქულა აქვს იტალიის „მილანს“. ტურნირის ბოლო მატჩში ჩილიელებმა მოუგეს „მილანს“ — 2:1.

ტელ-ავივი, 16 ივნისი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა — ურუგვაის ფეხბურთელებმა აქ საერთაშორისო მატჩი გამართეს ისრაელის ნაკრებთან. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1. ბურთები გაიტანეს: ურუგვაელთა ვეტერანმა აბადიმ (2) და შტელმახმა.

კოპენჰაგენი, 16 ივნისი. ხვალ დანიის დედაქალაქში პირველ მატჩს გამართავს არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრები. იგი შეხვდება მასპინძელთა ეროვნულ გუნდს.

# ყოველი მხრიდან

## საფრთხეს უქმნის

ავსტრიის პრესაში გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ამა წლის 13-17 ივლისს ინსბრუკში შედგება „ავსტრიის ტანმოვარჯიშეთა კავშირის III ფედერალური ზეიმი“. გაზეთი „ფოლკსშტიმე“ წერს, რომ ამ „ზეიმს“ არაფერი აქვს საერთო სპორტთან და საფრთხეს უქმნის ნეიტრალური პოლიტიკის დამცველ ავსტრიის სახელმწიფოს. „ავსტრიის ტანმოვარჯიშეთა კავშირი“ ნეოფაშისტური ორგანიზაციაა, — „გერმანიის ტანმოვარჯიშეთა კავშირის“ მემკვიდრე (ეს კავშირი ჰიტლერული რაიხის წლებში არსებობდა და მცირე როლი როდი შეასრულა ავსტრიის ახალგაზრდობის ფაშისტურ ავანტიურაში ჩათრევის საქმეში).

ამ ბრბოს (როგორც მას ყველა პატიოსანი ავსტრიელი უწოდებს) თაოსნებს განზრახული აქვთ დიდი ზეიმი მოაწყონ. წინასწარი მონაცემებით, მას უნდა დაესწროს „2600 ტანმოვარჯიშე: 1800 — ავსტრიიდან, 800 — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან და შვეიცარიიდან“.

ამჟამად „ავსტრიის ტანმოვარჯიშეთა კავშირი“ აშკარად უჭერს მხარს ფაშიზმის აღორძინებას და ავსტრიის შეერთებას დასავლეთ გერმანიასთან. ერთ-ერთ პლაკატში, რომელიც საგანგებოდ ზეიმის დღისთვის გამოუშვეს, პირდაპირაა ნათქვამი: „ჩვენი მოვალეობაა ტანვარჯიში გერმანიზმის იდეების სამსახურში ჩავაყენოთ“. ზეიმს თავგამოდებით უკეთებს რეკლამას პაწაწა დასავლეთგერმანული გაზეთი „კამერადშაფტი“ — ყოფილ ესესელთა ორგანო. ეს ფურცელი ქადაგებს: ტიროლის დედაქალაქში მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან უნდა მოიყაროს თავი გერმანული წარმოშობის ახალგაზრდობამო. ცნობილია ისიც, რომ „ზეიმზე“ მოწვეულია გფრ-ის ბევრი ულტრარევანშისტული ორგანიზაცია. საპატიო სტუმრებს შორის იქნებიან პროფაშისტური „სუდეტელ ტანმოვარჯიშეთა გერმანული კავშირის“ მეთაურები — სუდეტის ფაშისტების შტაბის ყოფილი უფროსი, ჰიტლერის რჩეული ჰენლაინე-ველვარსკი, სს-ის ორი ყოფილი შტანდარტენფიურერი, სუდეტის ნაცისტური პარტიის მოწინავე „მოღვაწეები“ მესამე რაიხის დროს.

ავსტრიის საზოგადოებრიობამ გადაჭრით მოსთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს „აკრძალოს ეს რევანშისტული თავყრილობა და არავის მისცეს ოლიმპიური ქალაქის, — ინსბრუკის სახელის შებღალვის უფლება“. ამ მოთხოვნას მხარს უჭერს ავსტრიის კომუნისტური პარტია.

## ბერნარ გიუიოს აკორდეონი

მშვიდობის XIX ველორბოლის პირად ჩათვლაში გამარჯვებულს, ფრანგ ბერნარ გიუიოს პარიზში სპორტის ბევრი მოყვარული და პატივისმცემელი შეხვდა. პირველი, რაც მათ შენიშნეს, იყო დიდი, მუქი ყუთი, რომელიც სპორტსმენს ეჭირა. გიუიომ მაშინვე დააკმაყოფილა რეპორტიორებისა და მეგობრების ცნობისმოყვარეობა.

— მე და ჩემი ძმა, — თქვა მან, — ბავშვობიდან ვართ გატაცებული ველოსპორტით. მუდამ შურით ვუყურებდით ხოლმე მათ, ვისაც საკუთარი ველოსიპედი ჰქონდა და ვოცნებობდით, ოდესმე ჩვენც გვღირსებოდა ეს ბედნიერება. მაგრამ მამა, ჩემი არ იყოს მეთუნუქე იყო და სულაც არ ჰქონდა იმდენი ფული, რომ თავისთვის ასეთი ფუფუნების — ორი ველოსიპედის ყიდვის უფლება მიეცა. მაგრამ ერთხელ, სეირნობიდან რომ დავბრუნდით, შინ ორი ახალთახალი ველოსიპედი დაგვხვდა. მაშინვე მივცვივდით მამას და კოცნა დავუწყეთ.

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, კვირა საღამოს გავიგეთ, საიდან გაჩნდა ასე მოულოდნელად ფული. ამ დროს მამა, ჩვეულებრივ, ჯდებოდა და თავის საყვარელ აკორდეონზე უკრავდა ხოლმე. იმ დღეს კი ასე არ მოხდა. თურმე, მამას ჩვენს საამებლად... აკორდეონი გაეყიდა.

დიდხანს არ მოგვეცა შესაძლებლობა სამაგიერო გადაგვეხადა მისთვის. და აი, ახლა, ამ ასპარეზობაში ყველაზე სასიხარულო გამარჯვების შემდეგ, როგორც კი ბერლინში მოვხვდი, მაღაზიაში გავვარდი, საუკეთესო აკორდეონი ვიყიდე და მამას ჩამოვუტანე. მე ვიცი, რომ ამით მას ყველაზე დიდი სურვილი შევუსრულე.



## აი, ესენი ითამაშებენ ინგლისში

## ამანსიო

ესპანეთის პატარა ქალაქმა ლა კორუნიამ მსოფლიო ფეხბურთს ორი ექსტრა-კლასის ფეხბურთელი მისცა: ლუის სუარესი და ამადო ამანსიო.

17 წლის ამანსიომ 1957 წელს „ლა კორუნიაში“ (II ლიგა) დაიწყო პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა და სულ მალე მიიპყრო ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღება. მის სანახავად ლა კორუნიაში ჩავიდა „ბარსელონას“ მაშინდელი მწვრთნელი ე. ერერა. მაგრამ, ეტყობა, ამანსიომ ერერაზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და ფეხბურთელი „ლა კორუნიაში“ დარჩა. როცა ეს გუნდი I ლიგაში გადავიდა, სპეციალისტებმა კლუბის წარმატების 90 პროცენტი ამანსიოს შესანიშნავ თამაშს მიაწერა.

მალე ამანსიო „რეალმა“ იყიდა. იგი აქ მარჯვენა ფრთაზე დააყენეს და 2 სეზონი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ამანსიო ესპანეთის უძლიერეს გარემარბად ეღიარებინათ.

ახლა, 26 წლის ამანსიო მადრიდის „რეალის“ ცენტრფორვარდია. იშვიათად, რომ მცველმა შეძლოს ამ სწრაფი და ტექნიკური თავდამსხმელის შეჩერება. თუ ამანსიო ფორმაშია — მისი დაკავება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ამანსიოზე დაუფარავად „ნადირობენ“ მცველები და მასთან ბრძოლაში უხეშობას არ ერიდებიან. სწორედ ასეთი ტრავმის გამო გააცდინა ამანსიომ ესპანეთის ნაკრების ბოლო შეხვედრა ჰოლანდიის „აიაქსთან“. მაგრამ აი, გუშინწინ იგი მინდორზე გამოვიდა. სანტ-იაგო დე-კომპოსტელაში, სადაც შეკრებას გადის ნაკრები, მან გუნდის საწვრთნელ მატჩში 2 გოლი გაიტანა.

სურათზე: ამანსიოს კვლავ უხეშად ეთამაშენ.

▲ ნოიბრანდენბურგი (გდრ). აქ გაიმართა გდრ-ისა და ბულგარეთის მძლეოსანთა VI ამხანაგური მატჩი. ბევრმა სპორტსმენმა კარგი შედეგი აჩვენა. მეტოქეებმა თავიანთი რესპუბლიკების 3-3 რეკორდი დაამყარეს. მასპინძელთაგან რეკორდების ავტორები არიან: ჰოფმანი — ბირთვის კვრაში — 18,75, მილდე — ბადროს ტყორცნაში — 59,24 და კვარტეტი ესტაფეტაში 4×400 მეტრზე — 3.08,0. ბულგარეთის რეკორდები გააუმჯობესეს: კალჩევმა — 800 მეტრზე რბენაში (1.50,4) და ივანოვმა 20 კილომეტრზე რბენასა (1:05,33,0) და 1-საათიან რბენაში (18,366 მ).

▲ ბერლინი. გდრ-ისა და ბულგარეთის ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 184,60:180,80, თუმცა პირად ჩათვლაში I-II ადგილები სტუმრებს დარჩათ. მარინოვამ და ნოაკმა ერთნაირი შედეგი — 37,15 ქულა — აჩვენეს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ცხენოსნობა. იპოდრომი. 18-19 ივნისი. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. დასაწყისი 16 ს.

რეგბი. „დინამოს“ სტადიონი. 19 ივნისი. ამხანაგური მატჩი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ერევანი). დასაწყისი 19 ს.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო, საწყლოსნო სახეობათა რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან საქართველოს სპორტკავშირის აუზის დირექტორის

**გიორგი (ჯანდევ) კონსტანტინეს ძე ვაშაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი ყოველდღე, 20 საათზე. გამოსვენება 21 ივნისს, 17 საათზე, ბინიდან — პეტრიაშვილის ქ. № 31.

თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა და სპორტული კლუბი იუწყებიან გამოჩენილი ქართველი მოჭიდავეების, სპორტის დამსახურებული ოსტატის, უნივერსიტეტის ასპირანტის

**ფარნაოზ ჩიქვილაძისა**

და სპორტის ოსტატის, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტის

**მიხეილ ყაჩმაზაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულთა ოჯახებს. დაკრძალვა: ფ. ჩიქვილაძისა — კვირას, 5 საათზე, სოფ. ჩაჩინაანში (ახმეტის რაიონი); მ. ყაჩმაზაშვილისა — კვირას, 2 საათზე, ახმეტაში.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 04939